№ 122. 12 ივნისი, ხუთშაბათი. 1866—1880 12 ივნისი, ხუთშაბათი № 122

რედაქცია

ჯვნახმელიდანზე, ჰუსაინაზრის თავში მარცხნივ თ. ლუარსაბ თუმანიშვილის სახლში, № 2.

ხელის-მოწერა

მიიღება „დროებისა“ და „ივერიის“ რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“ и „Иверія“

„დროება“-„ივერიის“ ფასი

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“ და „ივერია“ ერთად | 13 მან. | 7 მან. | 4 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მან. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 6 მან. | 4 მან. | 2 მ. |

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ. „ივერიის“ 2 მან.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., ჩვეულებრივის ასოებით ორ სტრიქონზე ნახევარი კაპ. ჩვეულებრივის ასოთი ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია უკან ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

## დროება

1 ივნისიდამ წლის დამლევამდინ ღირს ექვსი მანეთი

„დროება“ და „ივერია“ ერთად 1 ივნისიდამ წლის დამლევამდინ („ივერიის“ სამი წიგნი) ღირს ცხრა მან.

(ამ წლის „ივერიის“ პირველი წიგნი რედაქციაში აღარ არის).

## ტელეგრამმები

(საკუთარის კორრესპონდენტისაგან)

სიღნაღი, 10 ივნისს. დღეს იყო აქ დანიშნული სიღნაღის მაზრის თავად-აზნაურთა კრება შკოლის შესაწევრის გამოღებაზედ მოსალაპარაკებლად. კრება ვერ შესდგა, რადგან საკმაო რიცხვი არ მოვიდა თავად-აზნაურებისა; ამის გამო კრებისათვის სხვა ვადა დაინიშნა. როგორც ეტყობა, ქიზიყის და სოფლებიდამ ჩამოსული თავად-აზნაურები თანაუგრძნობენ ამ კეთილ საქმეს და იმის ხელის-მომართვას ეცდებიან; განსაკუთრებით თანაგრძნობას აცხადებენ ქალები. გაცნობებთ—როგორც გათავდება საქმე.

### პეტერბურღის ბირჟა, 10 ივნისს

(„ჩრდილოეთის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

| ბანკის ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი გამოცემისა — — | 93 | 25 |
| მეორისი — — — — — | 92 | 12 |
| მესამესი — — — — | 93 | 50 |
| მეოთხესი — — — — | 93 | 12 |
| აღმოსავლეთის პირვ. — — | 91 | 48 |
| აღმოსავლეთის მეორე — | 91 | 50 |
| აღმოსავლეთის მესამე — | 91 | 50 |
| ოქრო, 1/2 იმპერიალი — — | 7 | 75 |
| თფილისის სადგ.-მამ. ბანკის გირაოს ფურცელი — — | „ | „ |

შინაგანი 5% სესხის ბილეთები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი სესხის — — | 232 | 50 |
| მეორე სესხის — — — | 225 | 50 |

1 მანეთი ღირს:

| | | | |
|---|---|---|---|
| ლონდონი — — | 25 | 75 | პენსი |
| ჰამბურღი — — | 220 | „ | ცენტი |
| პარიჟი — — — | 270 | 25 | სანტიმი |
| ვენა — — — | 129 | 50 | პფენიგი |
| კავკასიის კერასინი — — — | | | |

## შკოლებისა და სასოფლო მაღაზიების შემცირება ქუთაისის გუბერნიაში

ტფილისი, 11 ივნისს.

ამ რვა-ცხრა წლის წინათ თითქმის არც ერთი სოფლის საზოგადოება არ მოიძებნებოდა იმერეთში, რომელსაც განაჩენი არ დაედგინოს სასოფლო შკოლის და სიმინდის მაღაზიის დაარსებაზედ. მაშინდელმა ქუთაისის ღუბერნატორმა გრაფ ლევაშოვმა ფიცხელი ბრძანება მისცა მაზრის უფროსებს, ყველა საზოგადოებაში სოფლის ყრილობა მოახდინეთო და შკოლისა და მაღაზიის გახსნის განჩინება დაადგინეთო.

მაგრამ „ფიცხელი ბრძანება“ არ ეჭირებოდა ამ საქმეში ჩვენს ხალხს: ოღონდ მოთავე და გზის მაჩვენებელი კი გამოჩენილიყო, და ამისთანა კეთილ და სასარგებლო საქმეს ყოველთვის დიდის ხალისით მოჰკიდებენ ხელს.

მართლაც ორი-სამი წლის შემდეგ, ყველგან თუ არა, თითქმის მომეტებულს ნაწილს იმერეთის სოფლის საზოგადოებაში შკოლები და მაღაზიები გაიხსნა.

ხალხი დიდის სასოებით და იმედით შესცქეროდა ამ თავის შკოლასა და მაღაზიას. ეგონა: შვილები დაგვეზრდებიან, ისწავლიან რასმეს და ამ გაჭირებულ, ღარიბ ცხოვრებაში ხელს მოგვიმართვენო. ეგონა სიმინდის მაღაზიის წყალობით, აღარც ქვენა-ქარის, აღარც გვალვის, აღარც სხვა რამ უბედურების აღარ უნდა გვეშინოდესო; ცუდი მოსავალი თუ გვექნება, ამ მაღაზიიდამ ვისესხებთ სიმინდს და ახალ მოსავლამდინ იოლათ გამოვალთო!

ასე ჰფიქრობდა ხალხი. ეს იმედები ჰქონდა იმას.

საუბედუროთ ამ ფიქრმა და იმედებმა თითქმის სულ ფუჭად ჩაუარა ხალხს.

ორი-სამი წლის შემდეგ შკოლების გახსნისა ხალხის შეხედულება ამ შკოლებზე სრულებით შეიცვალა: ისეთის სიამოვნებით აღარ აძლევს ის საშკოლო ფულს, როგორც ადრე აძლევდა; ისეთის ხალისით აღარ გზავნის შვილს შკოლაში, როგორც ადრე გზავნიდა; ადრინდულად თანაგრძნობითა და იმედით აღარ უყურებს, ერთის სიტყვით, ამ თავის შკოლას.

მიზეზი? პირველი და უმთავრესი ის არის, რომ შკოლამ არ გაამართლა ხალხის იმედი და მოლოდინი. ჩვენს გაზეთში იმ დროს და შემდეგაც ხშირად იბეჭდებოდა ქუთაისის გუბერნიის სხვა-და-სხვა მხარეებიდამ კორრესპონდენციები, რომლებშიაც დაწვრილებით იყო აღწერილი—თუ ეს ამისთანა ალტაცებით გახსნილი შკოლები რა მდგომარეობაში იყვნენ, როგორი მასწავლებლები ჰყავდათ და როგორ მიდიოდა იქ სწავლის საქმე. გადამდგარი უნტერ-აფიცრები, სხვა-და-სხვა ბოროტ-მოქმედებისათვის სამსახურიდამ გამოყრილი მწერლები, უნიჭობის გამო სასწავლებლიდამ დათხოვნილი შაგირდები,— აი, ესენი იყვნენ უფრო ხშირად ამ შკოლების მასწავლებელნი. უაზრო სწავლა გაუგებარს ენაზედ, რუსულ გაუგებარ ლოცვების გაზეპირება, ყმაწვილების ცემა-ტყეპა, სამშობლო ენის სრულიად მივიწყება,—აი სისტემა ახლად-გამომცხვარ შკოლების ახალ მასწავლებლებისა.

ხალხმა დაინახა, რომ ამ შკოლებიდამ იმათ შვილებს არავითარი სიკეთე, არავითარი სწავლა და ცოდნა არ გამოაქვთ; დარწმუნდნენ, რომ შკოლაში შვილის გაგზავნა—ტყუილუბრალოთ დროს დაკარგვაა, რომ იმათი შვილები შინ მუშაობას სცდებიან და შკოლაში ვერაფერს ვერ იძენენ.

ყველა ეს დაინახა და, რასაკვირველია, აიცრუვა გული ამ გვარს შკოლაზე; ზოგან ერთ-ორ წელიწადს კიდევ ილებდნენ მასწავლებლები ჯამაგირს ისეთს სოფლებში, სადაც შკოლები დიდი ხანია დაკეტილი იყო, სადაც იმათ არც ერთი შაგირდი არა ჰყავდათ. შემდეგ კი მასწავლებლებსაც მუქთი ჯამაგირები მოესპოთ და შკოლები სრულებით დაკეტილები დარჩნენ.

ამ გვარს მდგომარეობაში იყვნენ ქუთაისის გუბერნიის სასოფლო შკოლები, როდესაც ამ შკოლების დირექტორად, ამ ორის წლის წინათ, ბ. მარსოვი დაინიშნა. ახალ დირექტორს ჯერ-ჯერობით ბევრი არაფერი გაუკეთებია. ის ვერ ახერხებს არა თუ ახალ შკოლების გამართვას, არამედ ძველ შკოლებისთვისაც ხეირიან მასწავლებლის შოვნას.

სიმინდის მაღაზიების საქმე კიდევ უარესს მდგომარეობაშია: ეს მაღაზიები თითქმის სრულებით უყურადღებოდ, უპატრონოთ იყო დაგდებული; ვისაც უნდოდა და რამდენიც უნდოდა, გამოჰქონდა იქიდამ სიმინდი; სესხის დაბრუნებას არავინ ჰფიქრობდა; ანგარიშსა და ზედამხედველობას არავინ არ ეწეოდა,—და ამ ნაირად ორ-სამ წელიწადში ეს მაღაზიები სრულებით დაცარიელდა და ამათთვის აგებული სახლები ახლა, როგორც გვწერენ, ლპებაო!

დიდათ სამწუხარო მოვლენაა ამ ორი სასარგებლო საქმის ასე უკუღმართად წაყვანა ქუთაისის გუბერნიაში. სამწუხაროა იმიტომ, რომ, უეჭველია, ადრე თუ გვიან ხელ-ახლად უნდა შეუდგნენ როგორც შკოლებისა, აგრეთვე ამ მაღაზიების დაარსებას. და რა თანაგრძნობით, რა ხალისით შეუდგება მაშინ ხალხი ამ საქმეს? მაშინ ერთი-ორად უფრო მომეტებული ცდა, ქადაგება, „ფიცხელი ბრძანება“ და დარიგება დასჭირდება ხალხს, რომ ამ საქმის გაკეთება იკისროს.

და ვინ იქნება ამაში დამნაშავე?!.

ს. მ.

## ქალაქის რჩევის სხდომა

9 ივნისს.

(დასასრული *)

ბ. სეკრეტარმა წაიკითხა ანდერძი ნ. შიოევისა და ამ ანდერძის აღმსრულებელთა ანგარიში. ამ ანგარიშიდამ სხვათა შორის აღმოჩნდა, რომ შიოევისას დაუტოვებია ორი დიდი შენობა: ერთი გალავინის პროსპექტზე, რომლის მაღაზიებისა და კვარტირებიდამ ამ ჟამად წელიწადში 16,240 მან. შემოსავალი არისო და რომელიც 270,000 მანეთად ღირსო; მეორე—ქარვასლა აბანოებთან, ღირებული 30,000 მანეთად, რომლიდამაც 1,800 მან. შემოდისო. ნატ. შიოევისას სხვა-და-სხვა პირებისათვის უანდერძებია 48,000 მანეთი, ამას გარდა ვალი დარჩენია ოთხი ათას თუმნამდი, ასე რომ 86,000 მისაცემი არისო. ამ ვალის გარდასახდელად და აგრეთვე სხვა-და-სხვა შენობისათვის და შემოსავლის მოსამატებლად, ანდერძის აღმსრულებლებს განუზრახავთ ნ. შიოევის სახლის დაგირავება თფ. საადგილ-მამულო ბანკში.

ქალაქის გამგეობის აზრი იყო, რომ მიიღონ ამ ანდერძის ძალით შეწირულება ნ. შიოევისა.

— მადლობა გამოეცხადოს ანდერძის ამსრულებელთაო! დაიძახა ვიღამაც, და საქმე კინაღამ ამით გათავდა; მაგრამ ამ დროს წამოდგა

ხმოს. ივ. პოლტარაცკი: ჩვენთვის საჭიროა შევიტყოთ—ვინ არის ნამდვილი პატრონი ნ. შიოევის ქონებისა, ქალაქი თუ იმის ანდერძის აღმსრულებლები? ანდერძი ისე ახირებულად არის შედგენილი, რომ ნამდვილს ვერაფერს ვერ გაიგებს კაცი... გარკვეული უნდა იყოს ქალაქსა და ამათ შუა დამოკიდებულება.

ქალაქის თავი. ქონების პატრონი ქალაქია; ანდერძის აღმსრულებლები კი დროებით პატრონები არიან და

*) „დროება“ № 121.

გამგენი ამ მამულისა.

**ხმოს. ევანგულოვი.** ჩემს დღეში არ მინახავს ამისთანა აჩირებული ანდერძი. უველაფერი არის იმაში და არაფერი არ არის; ანდერძის ამსრულებლებმა რომ 50 წელიწადი იცხოვრონ, ჩვენ არავითარ ანგარიშის მოთხოვნა არ შეგვიძლია; იმათ ნებაზეა დამოკიდებული — წარმოგვიდგინონ თავის მოქმედების ანგარიში, ან არა. ჩვენ, ე. ი. ქალაქმა კი ამ 50 წლის განმავალობაში მხოლოთ მუდამ წელს ათას მანეთამდინ დასაფასებელი ხარჯი უნდა დავკარგოთ. რადგან, ერთის სიტყვით, ანდერძში არაფერი არ არის გამოკვლეული, ამის გამო ჩემი აზრია, რომ საჩივარი განვაცხადოთ ანდერძის აღმსრულებლებზე და სასამართლომ გამოიკვლიოს—ვინ არის ნამდვილი პატრონი შიოევის ქონებისა და რა უფლება და მოვალეობა აქვს ანდერძის ამსრულებლებს.

**ხმოს. ზოლტარაცკი** ამბობს, კარგი იქნებაო, რომ მცოდნე იურისტებისაგან შევადგინოთ კომმისია, მივანდოთ იმათ ამ ანდერძის განხილვა და როგორც ისინი გვირჩევენ, ისე მოვიქცეთო. Თორემ ახლა რომ ეს ანდერძი მივიღოთ, ქალაქი რასაც არ დაჰკარგავს, არაფერს მოიგებსო. Იმ გვარის პირობებით მიღება შიოევის ქონებისა, როგორც ანდერძის ამსრულებლები ამბობენ, არა ღირს, ეს საქმე უფრო სომხებს შეეხება და არა მთელ ქალაქსაო.

**ხმოს. მ. ბებუთოვის** აზრით, ქალაქის რჩევასა და ანდერძის აღმსრულებლებს შეუძლიანთ თანხმობით გაათავონ საქმე.

**ხმოს. ალადათოვი.** როდესაც ნატ. შიოევისა მიიცვალა, მე მახსოვს, ბ. არტ. Თამამშოვმა გვახარა, რომ მიცვალებულმა დიდი ქონება უანდერძა ქალაქსაო და ჩვენც პატივი ვეცით მაშინ მიცვალებულის სულს. Ახლა კი ანდერძიდამ სჩანს, რომ ტყუილუბრალოთ გვიხაროდა, ქალაქისთვის მიცვალებულს, მგონია, არაფერი არ უანდერძია....

Ზამგეობის წევრი და ანდერძის ერთი ამსრულებელთაგანი **არტ. თამამშოვი** გაცხარებული წამოდგება და ამბობს: Თვალები დახუჭული უნდა ჰქონდესთ ბ.ბ. Ევანგულოვსა და Ალადათოვს, თუ ვერ ხედვენ, რომ მიცვალებულმა ბევრი უანდერძა ქალაქს... ქალაქი არის პატრონი ამ ქონებისა, შემოსავალი შკოლებისათვის უნდა დაიხარჯოს; ამიტომ საჭიროა, რომ ფინანსის კომისია დაინიშნოს ჩვენგან წარმოდგენილ ანგარიშის განსახილველად...

**ხმოს. ევანგულოვი.** Უველას შეუძლიან თვალის ახვევაზე ლაპარაკი და არა ბ. Თამამშოვს. რა მნიშვნელობა ექნება კომისიას, როდესაც ის თქვენს ანგარიშს ვერ შესცვლის, ვერაფერ პასუხს მოგთხოვსთ, ვერც დაიწუნებს და ვერც უარ-ჰყოფს. Თქვენგან დაწერილის ანდერძით გამოდის ასე...

Ამის შემდეგ კრებაში შეიქნა გაცხარებული ბაასი, ყვირილი და ზოგიერთი ხმოსანები გარეთ გამოვიდა, სადაც უფრო ცხარე ლაპარაკი ატყდა სულ ამ უცნაურ ანდერძის თაობაზედ...

Რადგან ზოგიერთი ხმოსანები წავიდნენ და კანონიერი რიცხვი (24) აღარ დარჩა, ამის გამო სხდომა $11^1/_2$ საათზე დაიხურა.

## ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

Დღე ისე არ გაივლის, რომ Ერევნის მეიდანზე სამი-ოთხი ჩხუბი მაინც არ მოხდეს მეფაიტონეებსა და ფაიტონის აყვანის მსურველთ შუა; უფრო ხშირად ჩხუბს ლაქიები და დენსჩიკები მართვენ მეფაიტონეებთან.

Მიზეზი ამ გაუწყნარებელ ჩხუბისა და აყალ-მაყალისა ის გარემოება გახლავთ, რომ ახლანდელი ჩვენი მეფაიტონეები **არჩევენ** მუშტარს: თუ ვისმესაგან ტაქსიაზე მომეტებულს ფულს აუ მოელიან ან, თუ ჰავლაბარში წაყვანა უთხრა, უეჭველად ყოყმანობას დაიწყებს, არ წაჰყვება.

Შესანიშნავია, რომ ჩვენი პოლიცია, რომლის ცხვირ-წინაც ტყდება ხოლმე ეს აყალ-მაყალი, არავითარ ყურადღებას არ აქცევს ამას გოროდოვოი: მოვა, გაჩერდება თითქო სეირის საყურებლად, მაჩხუბარ მეფაეტონებთან და მუშტართან, ერთ-ორს სიტყვას იტყვის და ამით ათავებს თავის მოვალეობის აღსრულებას.

Ამბობენ, ამ უკანასკნელს დროს ქალაქს 150-მდინ ფაიტონი მოაკლდა, რადგან ქალაქის რჩევამ ტაქსია არ მოუმატა და ამის გამო ასე ინაზებიან მეფაიტონეებიო.

Მიაქციოს ამ გარემოებას ვისიც ჯერ არს ყურადღება.

* * *

Მეორე გარემოება, რომელსაც უფრო ეჭირება კიდევ ყურადღება, გახლავთ შემდეგი:

Ამ უკანასკნელს დროს რამდენჯერმე ენახეთ, რომ კაცის განავალით სავსე დიდ ბოჩკებს დღისით, ნასადილევის მეოთხე-მეხუთე საათზე ამოატარებენ ხოლმე შუა-ბაზრიდამ, Ერევნის მაედანზე გაატარებენ და მერე სასახლის ქუჩისკენ მიაქვთ.

Ისეთი საძაგელი სუნი დგება ამ დროს მთელს მაედანზე და ქუჩებში, რომ თუ ცხვირი თითით არ დაიცვეი, გული შემოგეყრება.

Სხვაგან დიდ ქალაქებში ამ „ოქროს“ მუდამ შუა-ღამის შემდეგ გაატარებენ ხოლმე ქალაქის ქუჩებში და გათენებამდინ ქალაქის წრეს გააცილებენ. ჩვენში კი ლამის შუა-დღეზე დაგვატკბონ ამ მშვენიერ სუნნელებითა...

* * *

Ამას წინათ რამდენიმე შენიშვნა იყო ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი იმ უბედურ და შევიწროებულ მდგომარეობაზედ, რომელშიაც იმყოფებიან ჩვენს ქალაქში სხვა-და-სხვა ხელოსნებისა და დუქნების შაგირდები.

Ამათზე ბევრად უკეთესს მდგომარეობაში არ იმყოფებიან არც ჩვენი მაღაზიის პრიკასჩიკები და შაგირდები. Ამ უკანასკნელ დროს, როდესაც ასე გახშირდა ჩვენში, კოტრობა, ცეცხლის-წაკიდება და სხვა ამ გვარები, ამათი საჩივარი მაინც თან-დათან უფრო ხშირად ისმის. Არავითარ პირობით ჩვენ არა ვართ ჩვენ „აღებთან“ შეკრულიო, როდესაც უნდათ, მაშინ გაგვისტუმრებენო; ხშირად ჯამაგირს თავის დროზე არ გვაძლევენ; ზოგჯერ სულაც არ გვაძლევენ, უსამართლოდ გვეპყრობიან, და ჩვენ იმის თავი არა გვაქვს უ̀ ამბუთოთ იმათ უჩივლოთ და ოფლით მოგებული ჯამაგირი გადავახდევინოთო.

Ურიგო არ იქნება, რომ იმ „პრიკასჩიკების საზოგადოებამ“, რომელიც შარშან თუ შარშან-წინ დაარსდა ჩვენს ქალაქში, ყურადღება მიაქციოს ამ ხალხის გაჭირებას და ერთი რამ ღონის-ძიება იხმარონ ამათ ბედის შესამსუბუქებლად.

* * *

Ახალ-სენაკიდამ გვწერენ, რომ ჩვენკენ ჩინებული დღეები დგასო, სიმინდის ყანები ძალიან კარგი დადგნენ და ამის გამო გლეხი ხალხი უხვ მოსავლის იმედით ძალიან გახარებული არისო.

Ამავე კარგ მოსავლის იმედის წყალობით ხორაგეულის ფასმა ამ უკანასკნელ დროს დაიწიაო, მაგ. ამ ერთი თვის წინათ ფუთი სიმინდი ექვს აბაზზე ნაკლებ არ იყიდებოდაო და ახლა კი ოთხ აბაზ ნახევრად, ოთხ აბაზათ იყიდებაო.

## „ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ“ ᲙᲝᲠᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐ

**ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲯᲝ.** 28 მაისს. Თითქმის მრთელს საქართველოში მოფენილია სამწუხარო ამბავი კალიის გაჩენაზედ. Აგერ დღეს კიდეც შევიტყეთ, Ლოჭინის აღმართს შემოსდგომია ეს მაზარალებელი ჭია; მაგრამ ჩვენს საგარეჯოში ამაზედ უარესი ამბავი მოხდა ჩვიდმეტს და თვრამეტს ამ მაისის რიცხვებში:

Ამ ზემო აღნიშნულს რიცხვებში მთავრობის განკარგულებით მოვიდნენ საგარეჯოში ყაზახები ჩაფრების წინამძღოლობით; ამათ უნდა გაეყვანათ ხალხი კალიის გასაჟლეტათ, და ჰქონდათ კიდეც ნება, როგორც ამბობდენ, მიეღოთ ფიცხელი ღონის-ძიება ხალხის მოკრეფისათვის. Ეს ყაზახები დი ჩაფრები, რასაკვირველია, უწინ მივიდნენ ჩვენს მამასახლისთან; ამანაც მიანდო ხალხის მოკრება სამპირთ,—Იაგორა რევაზოვს, მიხა ხოხობოვს და Იაგორა მათიაშვილს.

Ქალია რათ მოგვცემდა იმოდენა ნავნებს, რაც ამათ ჰქმნეს! Ქალია ნამუშევარს და ბალახს აიკლებს ამათ სახლები აიკლეს.

Ახლა აკლებაც არის და აკლებაც; ამათ არა თუ ნივთები გაჰქონდათ, თითქმის ისეთს უსინდისო მტარვალობას სჩადიოდნენ, რომ დედა-კაცებთან ძალ-დატანებას ხმარობდნენ. Თვითოეულის სახლები იცოდნენ, მიდიოდნენ ღამით ანთებულის ფარნით, კარებში ჩააყენებდნენ ხმალამოღებულ ყაზახს, შევიდოდნენ თვითონ შიგნით- ამტვრევდნენ სკივრებს: ხომ კაცები არა გყავთო დამალულიო! Ამოიქოთებდნენ, დედა-კაცების ქვეშ მოთა ტანის-საცვლებს იღებდნენ, ხანდა-ხან ფარანსაც გააქრობდნენ და მოხვდებოდნენ დედა-კაცებს...

Ამ გვარ საქმეს იმ სახლში მოახდენდნენ ხოლმე, რომლიდამაც კაცი ან ბეგარაზედ კიდეც იყო გასული, ან სხვა ადგილს იმათგანვე დამწყვდეული და სადაც მარტო მანდილოსნები ეგულვებოდათ.

Ნივთების გატანაზედ (ნარბევზედ) ნუღარას გვკითხავთ: დღესაც კაცი ბეგარიდგან არ მობრუნებულა სახლში, რომლის ნარბევიც დაჭერილი და გატანილი არ იყოს. Ფულების წართმევასაც ნურავინ იკითხავს; მამასახლისმა ყაზახებს და ჩაფრებს თხუთმეტი მანეთი მისცა, ჯერაც არ ვიცით —რომლის წყაროდან...

Ცემა-ტყეპაზედ რაღა მოგახსენოთ. Საით არ ისმოდა ტირილი და ვაება! Ერთმა კაცმა, მიხა Იორამაშვილმა, მძიმეთ ნაცემმა ამ შემთხვევაში, აგერ ეხლა-ხან თქვენი ჭირი წაიღო. Რაღა ბევრი შევაწყინოთ, ძველ დროში რომ ლეკიანობის ამბები ყოფილან, ან მურმან Ჵრუსაგან აკლება ჩვენი საქართველოსი—სწორეთ იმას გვანდა ამათი დავლა...

Გევედრებით, ბატონო რედაქტორო, იმდენი სიკეთე უნდა გვიყოთ, რომ ამ ჩვენს სიტყვებს ადგილი მისცეთ თქვენს გაზეთში და, თუ შეიძლება სხვა რუსულ გაზეთებშიაც. ჩვენ საჩივრის წარმოება არ შეგვიძლიან: ერთი ჩვენგანი გახლავს ღარიბი დურგალი და მეორე—ხარაზი. Ამას არზა უნდა, მერე მარკები, მერე ვინ იცის ვის ხელში ჩავარდება,—ამაებს ხომ სულ ფულები უნდა, და ჩვენ ესენი არ შეგვიძლიან. Თუ მთავრობა ჩვენს პატრონებას ისურვებს, ამითიც ყურად მღებელად გამოგვიჩნდება ვინმე, თუ არა და ეს ამბავი იქვე დაინიშნება სადაც წლევანდელის დასღუპვის კალიის შემოსევა, და საბოლოო ისტორიისათვისაც მსწავლულს კაცს გამოადგეს მასალებათ.

ოანეზა რევაზოვი.
სანდრო ახლამაზოვი

# ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘ

## ᲒᲘᲝᲠᲒᲘ Პ. ᲛᲘᲥᲔᲚᲐᲫᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ

Გუშინ-წინ სამხედრო Ოლქის სასამართლომ დაიწყო განხილვა ბ. მიქელაძის საქმისა, რომელსაც კაი-ძალი ხალხი ესწრება. Ეტყობა, ბრალდებულს ტფილისელ იმერლებშიაც (თითქმის სულ ესენია მაყურებელი) ისე დავარნია ხმა, როგორც ქუთაისის გუბერნიაში, სადაც მისი სახელი

სიმარდის და ვაჟ-კაცობის სინონიმად შექმნილა.

ჩვენ გვგონია, რომ ხალხის მოკლებული არ იქნება მკითხველ საზოგადოებისათვის, თუ აქ ორიოდე სიტყვას ვუძღვნით ბრალდებულის ცხოვრებას, მით უფრო, რომ ის ეკუთვნოდა იმისთანა შეძლებულ ოჯახს და წრეს, რომლის წევრსაც საზოგადოთ ყოველთვის შეუძლია პატიოსნად იცხოვროს და თავი ააშოროს ავაზაკობას იმდენად, რომ ამისთანა საქმის ჩადენის ეჭვსაც კი ვერავინ აიღებდეს მასზე.

თუ კი იმერეთში ვისმეზედ ითქმებოდა „ის შეძლებულიაო,“ ისვე ითქმებოდა ჭეშმარიტად თ. პეტრე მიქელაძეზე, ბრალდებულის მამაზე. შვილის „კაცად გამოყვანისათვის“ და „სწავლისათვის“ მამამ გაგზავნა ზიორ[illegible]ი პეტერბურღში, სადაც ის შევიდა მის იმპერატორებით დიდებულების კანვოიში (ამალა). რამდენიმე წლის შემდეგ იმან გაათავა კანვოიში სამსახურის ვადა და, რადგანაც ჩინებულად დაიჭირა ოფიცრობის ექსამენი, გადიყვანეს ულანის პოლკში კორნეტად, მისცეს ათასი მანეთი გზის ფული და გაისტუმრეს ხივაში, იქ მყოფ ულანის პოლკში სამსახურისათვის, ანუ, როგორც მას ეუბნებოდნენ კარის-კაცები „თავის გამოსაჩენად და ღენერლობის საშოვნელად.“

მაგრამ ხივაში წასვლის მაგიერ, იმან ნება აიღო გზად გაეარა თავის სახლობაში, ჩამოვიდა ქულაში და „სურვილისამებრ თვისისა“ სამსახურს თავი დაანება და აქ დარჩა.

სამიოდე წლის შემდეგ მას მოუკვდა მამა და თავის ერთი ძმით დიდი მიწა-წყლის სრული პატრონი შეიქმნა.

აქამდინაც, და ამიერიდამ ნამეტურ, სულ ქუთაისში იყო, იქაურს „უმაღლეს“ საზოგადოებაში პატივისცემით მიღებული. აქ იმან მრავალ ჩვენ ყმაწვილ-კაცებივით დაიწყო შმაგად ქაღალდის თამაში, და ხივის სიმაგრეების მაგიერ ქუთათურ ქალების „გულთა-პყრობა, კვლავ შეპყრობა უსუსტარი იერიშით.“

ქაღალდის თამაშში ბედი არ ჰქონებია: მუდამ აგებდა და ყოველთვის, წაგებულის გამობრუნების მსურველი, ჰყიდდა მამულს, რომ კიდევ ეთამაშნა, კიდევ აგებდა, კვლავ ჰყიდდა, და ბოლოს იქამდის მივიდა, რომ გაჰყიდა თავის უკანასკნელი უძრავი ქონება სამოსახლო ეზო...

ამ გვარ ცხოვრების დროს, რასაკვირველია, ხშირად მოსდიოდა ჩხუბი, და რადგანც მუდამ გამარჯვებული რჩებოდა მას დაუვარდა ღონიერობის ხმა...

ამ დროს ქულაშის მახლობლად გაცარცვეს ვიღაც ნაწიშვილი. ეჭვი აიღეს (ადგილობრივ პრისტავის მითითებით) გ. მიქელაძეზე. ოლქის სასამართლომ გაამართლა ის.

ქაღალდის თამაში და ქეიფი ამის შემდეგაც ჩვეულებრივი დროს გატარება იყო მისი, და რადგანაც მამული თითქმის სულ გაყიდული ჰქონდა და ქაღალდში კი დიდი თანხით თამაშობდა, ჩუმ-ჩუმად „ცუდი ხმები“ ისმოდა მასზე. ერთ ღამეს მოჰკლეს სამტრედიის სადგურთან რკინის გზის ოსტატის ცოლი. მკვლელობა დაბრალდათ რამდენიმე მოქეიფე ყმაწვილ-კაცებს და მათ შორის გ. მიქელაძესაც. ყველანი დაიჭირეს. ყველა ბრალდებულმა იშოვა დამცველი, გარდა გ. მიქელაძისა, რადგანც ამას აღარ ჰქონდა შეძლება და არც ქიროსუფალი ჰყავნდა. გ. მიქელაძეამ საქმეში გამტყუნდა, სასამართლომ გადუწყვიტა კატორღა და გაგზავნეს ტფილისში, მეტეხის საპყრობილეში. იქიდამ ის რაღაც საქმეზე, ვგონებთ, ქუთაისში თუ სენაკში მიჰყავდათ, მაგრამ გზაზე არჩია ისევ ტფილისში დაბრუნებას და მერე ციმბირში წასვლას ჩვენში დარჩენა და, რკინის გზის მატარებლიდამ გადმომხტარმა თავი მისცა აჯამეთის ტყეს...

გასცეს „ფიცხელი ბრძანება“ მისს დასაჭერად, მაგრამ სამიოდე წელი მისს გზა და კვალს ვერ მიაგნეს. (ამბობენ, ნახევარი წელიწადი ოსმალეთში იყოვო).

ამ დროს განმავლობაში რაც ავაზაკობა, ქურდობა და ცუდ-კაცობა კი ხდებოდა სულ ზიორგი მიქელაძეს ბრალდებოდა... მოჰკლეს და გაცარცვეს სენაკის მაზრაში ვიღაც მეგრელი ბულავა. საზოგადოების ხმა ამ დანაშაულსაც გ. მიქელაძეს აბრალებს, თუმცა თვითონ ბულავას ძმა მასთან ხლებულს ურიის „რინს“ აბრალებს და ურია კი მიქელაძეს.

ბოლოს მთავრობას შეატყობინეს, რომ გ. მიქელაძე ამა-და-ამ ღამეს ქულაშში ამ სახლში იქნებაო. მაშინვე მოახდინეს ფიცხელი განკარგულება და ორმოცი ცხენოსანი ჯარის კაცი თავით-ფეხებამდე დაიარაღებული დანიშნულს დროს შემოარტყეს მითითებულ სახლს.

მამაცმა მხედრებმა დაუშინეს თოფები სახლს... „ვიღაცა“ კეკლუც არსების „ალერსით“ ღონე მიხდილი მიქელაძე პერანგ-ამარა, ერთს ხელში სატევრით და მეორეში რევოლვერით გამოვარდება კარში, მაგრამ იმავ „კეკლუცის“ (?) თხოვნით იარაღს ჰ[illegible]დებს და ჰნებდება.

დღეს ეს გ. მიქელაძე ბრალდებულთ სკამზე ჰზის. ბრალად ედება ზემოხსენებული ავაზაკობა.

(გაგრძელება)

---

## საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების საქმეთა წარმოება

1879 წ. 15 მაისიდამ 1880 წ. 15 მაისამდე

**საზოგადოების წევრნი და მმართველობა.**

საზოგადოებაში ირიცხება 245 წევრი. ამ რიცხვიდამ: 122 დამფუძნებელია, 123 ნამდვილი.

(დასასრული.)

**საზოგადოების სასარგებლოთ შემოწირულობა.**

წარსულს ივნისის თვეში მმართველობის წევრმა თავ. რ. დ. ერისთავმა შემოსწირა საზოგადოებას 250 ეკზემპლიარი, მისგან გალექსილი „იგავ-არაკნი“ საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუიდამ“.

წარსულ ნოემბრის თვიდამ საზოგადოების დამფუძნებელმა წევრმა თავ. ა. ი. ბაგრატიონ-მუხრანსკიმ ათხოვა საზოგადოების მმართველობას, დროებით ქარხანა შკოლის მებლის საკეთებლათ. ეს ქარხანა ჯერ კიდევ საზოგადოების სარგებლობაშია.

წარსულ წელშივე ს. ცხინვალში სცენის მოყვარეთაგან გამართულ წარმოდგენიდამ საზოგადოებას მოუვიდა ოთხმოც-და-ოთხი მანეთი.

ამას გარდა საზოგადოების დამფუძნებელთ წევრთა ალექსანდრე, ზორის ეპისკოპოსმა და არტილერიის პოლკოვნიკმა დიმიტრი ივანეს ძე მუსხელოვმა შემოიტანეს საზოგადოების ხაზინაში სამას-სამასი მანეთი და ნამდვილმა წევრმა ი. გ. ზუბალოვმა ასი მანეთი.

## ქუთაისის სააზნაურო შკოლა.

28 აპრილს 1879 წ. ქუთაისის საადგილ მამულო ბანკის წევრთა გადასდვეს ბანკის შემოსავლიდამ რვაათასი მანეთი (8,000 მ.) ქუთაისში სააზნაურო მოსამზადებელი შკოლის გასამართავათ. ამ შკოლის გამართვა და გამგეობა თავადაზნაურობამ მიანდო წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას. საზოგადოების მმართველობამ ამ საგანზე მიიღო ცნობა წარსული წლის აგვისტოს და მაშინვე მოახდინა განკარგულება ამ შკოლის გასამართავად.

მმართველობა ამ საქმის დასაწყისშივე დარწმუნდა, რომ შკოლის მომართვა და მის წარმატებაზე ზრუნვა მისთვის ძალიან ძნელი იქნებოდა, რადგან მმართველობა თბილისშია და შკოლა ქუთაისში უნდა ყოფილიყო, თუ მმართველობას არ ეყოლებოდა თითონ ქუთაისში საკუთარი შკოლის მზრუნველობა. ამის გამო მმართველობამ სთხოვა საზოგადოების წევრთა: ა. ბ. მუსხელოვისას, კნ. ე. დ. ჟიფიანს, ს. ზ. ლოლობერიძეს, ა. ი. ფიფინოვს, კნ. ა. ნ. ლორთქიფანიძეს. ნ. დ. ჟიფიანს და კნ. ქ. გ. ლორთქიფანიძეს მიეღოთ ამ შკოლის მზრუნველობა. ამათ იკისრეს ესა და მათის ღვაწლითა და შემწეობით მმართველობამ გამართა შკოლა, ამ წლის 3 თებერვალს.

ბანკის წევრთაგან დადგენილი განჩინებით შკოლა უნდა იყოს გამართული 160 ყმაწვილისათვის ოთხს განყოფილებათ. წელს მმართველობამ გამართა მხოლოთ ორი პირველი განყოფილება. ამ ორ განყოფილებაში, მმართველობას, იმავე განაჩენის ძალით, უნდა მიეღო ქუთაისის მაზრიდამ 17 ყმაწვილი, შორაპნიდამ 16“ ზუგდიდიდამ 12, სენაკიდამ 13, რაჭიდამ 9, ლეჩხუმიდამ 5 და ოზურგეთიდამ 8. შკოლის გამართვის დრო და კანდიდატების რიცხვი ქუთაისის შკოლის მზრუნველობამ თავის დროზე, შეატყობინა ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა.

შკოლაში შესვლის სურვილი განაცხადა 160 ყმაწვილმა. მათში: შორაპნიდამ შემოვიდა 27 თხოვნა, სენაკის მაზრიდამ 21, ზუგდიდიდამ 7, ოზურგეთის მაზრიდამ 5, რაჭის მაზრიდამ 12 და ქუთაისის მაზრიდამ 86. რადგანაც შკოლაში, წესდების ძალით, 80 ყმაწვილზე მეტი არ მიიღებოდა, ადგილის უქონლობისავამო, შკოლის მზრუნველობა იძულებული იყო უარი ეთქვა ბევრისათვის. ქუთაისის მაზრიდამ მიღებულ იქმნა, ვაკანსიის რიცხვით, მხოლოდ 17 და უარი ეყო 69 ყმაწვილს; შორაპნის მაზრიდამ მიღებულ იქმნა 16 და უარი ეყო 11-ს; ზუგდიდის მაზრიდამ მიღებულ იქნა, 4, სენაკის მაზრიდამ 12, ოზურგეთის მაზრიდამ 2 რაჭის მაზრიდამ 8 და უარი ეყო ზუგდიდიდამ 3, სენაკიდამ 9, ოზურგეთიდამ 3, და რაჭიდამ 4-ს, რადგანაც ესენი არ შეეფერებოდნენ იმ პირობებს, რომელიც მოითხოვებოდნენ, წესდებით, მიღებისათვის. ლეჩხუმის მაზრიდამ ჩამოიყვანეს მარტო ორი ყმარწვილი, რომელნიც მიღებულნი იყვნენ. ამ ნაირათ შკოლაში მიღებულ იქნა, გამართვის დროს, მხოლოდ 61 ბავშვი; 19 სხვა ვაკანსია რჩებოდა ცარიელი.

შკოლა გაიხსნა ზამთარში, როდესაც ბევრმა ვერ შესძლო თოვლის და სიცივის გამო შვილების ჩამოყვანა ქუთაისში, ამისთვის მზრუნველობამ არჩია შკოლის გამართვის შემდეგ კიდევ მოეცადა 20 თებერვლამდის იმ უეზდებისთვის, რომელთაც ერგებოდა ვაკანსია. მაგრამ, რადგან ბავშვები არ მოიყვანეს და ვაკანსია ტყუილად ცდებოდა მზრუნველობამ მიიღო 12 ყმაწვილი ქუთაისისა და 1 შორაპნის მაზრიდამ. ასე რომ დღეს არის შკოლაში 75 ყმაწვილი, რომელთაგან 40 არის პირველ განყოფილებაში და 35 მეორეში.

შკოლის ზედამხედველობა მმართველობამ მიანდო ალექსი ბესარიონის ძე ჭიჭინაძეს.

სწავლა ამ შკოლაში წარმატებით მიდის, როგორც მოწმობს თვითონ მზრუნველობა.

მომავალ 1 სეკტემბერში მმართველობა ჰფიქრობს გამართოს ორი უკანასკნელი განყოფილება.

ამ წლის ბანკის წევრთა ყრილობას წარუდგინა მმართველობამ ამ შკოლის გამართვის დაწვრილებითი ამბავი და ანგარიში: რვა ათასი მანეთიდამ, რომელიც გადადებული იყო შკოლის მოსამართავად და პირველ წელში შესანახავად ამ წლის 1 მაილობამ უკვე წარუდგინა ქუთაისის სბანკის წევრთ საზოგადო ყრილობას. სამღის დაიხარჯა ოთხი ათას ორი მანეთი და ორმოც-და-რვა კაპეიკი.

მომავალი წლის ანგარიში მმართველ-

**ანგარიში.**

საზოგადოების დაარსებიდამ 1880 წ. 1 იანვრამდის

**შემოვიდა:**

თბილისის საადგილ-მამულო ბანკის წევრთაგან 11,000 მ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქუთაისის ს. მ. ბანკის
წევრთაგან — — — 3,000 —
გადოებისსაზო დამფუძნე-
ბელ წევრთაგან — — 1,450 —
საზოგადოების ნამდვილ
წევრთაგან — — — 286 —
უცნობ პირთაგან— — 26 —

და სრულიად 15,762 მ.

**დაიხარჯა:**

საზოგადოების წესდების
დაბეჭდვისათვის — — 102 მ. ,, კ.
სახალხო შკოლებში გაგ-
ზავნილ წიგნების სასყიდ. 525—12
რუისის შკ. მებელისთვის 157— ,,
მაზრებში გაგზ. აგენტებ. 89—73
კანცელიარიის სახ. ქირაში 81—25
კანცელ. მოსამსახურებლად 124—88
წიგნების გაგზავნაში, ფოშ-
ტის ხარჯი, განცხადე-
ბის ბეჭდვა და სხ. — 95— 7
სეკრეტარის ჯამაგირი— 350— ,,

და სრულიად 1,525— 5

1 იანვარს 1880 წ. საზო-
გადოების კასსაში იყო—14,236—95

1 იანვრიდამ 15 მაისამდის 1880 წ.

**შემოვიდა:**

დამფუძნებელ წევრთაგან— 445— ,,
ნამდვილ წევრთაგან — 192— ,,
ცხინვალში გამართულ
სპექტაკლიდამ — — 84— ,,
თავნის %— — — — 263— ,,

984— ,,
1 იანვარში დანარჩენი —14,236—95

და სრულიად 15,220—95

**დაიხარჯა:**

გორის სტიპენდიანტებთათვის
(1 იან. 1 ივლის. 1880 წ.) 475— ,,
თ. სამ. შ. სტიპენდიანტ.— 45— ,,
მეტეხის შ. გადასაკეთებ.— 80— ,,
კავთისხევის შ. მოსათავებლათ 200— ,,
ფ. გასაგ. წიგნების ფასად — 40— ,,
სეკრეტრის ჯამაგირი — — 250— ,,
კანცელარიის სახლის ქირა— 62— ,,
კანცელ. და ბიბ. მოსამსახური— 48— ,,
27 კარტები თბილისის შ.— 330— ,,
ფოშტის ხარჯი, განც. ბეჭდვა 54— ,,

და სრულიად 1,584 მ.

**სრულიად საზოგადო-
ების დაფუძნებიდამ 15
მაისამდე 1880 წ. შე-
მოსულა— — — 16,746 მ. ,, კ.
დახარჯულა — — 3,109 მ. 5—**

**15 მაისს საზოგად.
კასსაშირჩება: — —13,636 მ. 95 კ.**

საზოგადოების თავმჯდომარის ამ-
ხანაგი თ. ი. გ. ჭავჭავაძე.

წევრნი:
- ნ. ზ. ცხვედაძე.
- ი. ს. გოგებაშვილი.
- ი. გ. მაჩაბელი.
- გ. მ. თუმანიშვილი.
- თ. დ. ყორღანია.
- ი. ქ. გამყრელიძე.
- ი. მ. მეუნარგია.

# განცხადებანი

—

**სლესარნი ზავედენია** გაიდო
ტალახის ქუჩაში, სერგეი მელიქო-
ვის სახლებში, № 3. მაკეთებ რკინის
ბალკონსა, კიბეებსა, საფლავის მოა-
ჯირებსა შენობისთვის შესაკრავ რკი-
ნებსა და აგრეთვე ყოველგვარ ზაკაზსა
რკინეულისასა იაფ ფასათ.

ხელოსანი დავით გზირიევი.

(6—2)

**უკანასკნელი გასყიდვა**

თოფები, რევოლვერები, დანები,
კალმები, დუხები, საპნები, წინდები
ჩულქები, ცხვირ-სახოცები და სხვ.
და სხვ.

**ინგლისურ მაღაზიაში.**

(10—3)

**სოფელში და მოგზაურთათვის**

დასაკეცი კრაოტები, კრესლო-კრაო-
ტები, სკამები, წყლის საწმენდი მაში-
ნები, დანები, თეფშები, ჩემოდნები,
ჩაი, ბისკვიტები, კანფეტები, ციტრატ-
მაგნეზია და თევზის საჭერი ჯოხები
ისყიდება **ინგლისის მაღაზიაში**—3 მა-
ნეთიდამ 8 მანეთამდინ.

ნამდვილი ინგლისის თოფები და
რევოლვერები ისყიდება ინგლისის
მაღაზიაში 30% უფრო იაფად, ვიდრე
სხვაგან სადმე.

—

**წამოსასხმელი! წამოსასხმელი,
წამოსასხმელი!!**

ინგლისის მაღაზიაში 3 მანეთად
25 კაპეიკად!

წინდები და ჩულქები დუჟინი
2 მანეთიდამ!

(30—3)

**დაიბეჭდა და ამ დღეებში გამოიცემა
გასასყიდად
ახალი წიგნი
ს ა მ წ ე რ ლ ო**

# თაიგული

ტფილისში, ჩარკვიანის წიგნის და
აზნაურიის მაღაზიაში გოლოვინის
პროსპექტზე.

ქუთაისში პ. ფ. გერარდის წიგნის
მაღაზიაში.

ფასი თითო წიგნისა ხთი შაური,
გაგზავნით სხვა ქალაქებში **სამი
აბაზი.**

(3—3)

**შ ე ნ ი შ ვ ნ ა**

**რადგან მთელს ქვეყანაში გამოჩენილი
და მიღებული წამალი.
თმის გასამაგრებელი
მაკ - მასტერი**

**ერთობ ბევრი ისყიდება, ამის გამო
ინგლისის მაღაზიაში** ეს წამალი
**ახლა 2 მანეთად ღირს.**

(100—4)

**პატენტიანი შროტკები**

თმებისათვის 1 მ. 50-დამ და ცხენე-
ბისათვის 1 მ. 75-დამ; ყვავილები
სახურავებით 2 მანეთიდამ; სარძევე
30 კაპ.; რუმკები 5 კ.-დამ; ფილტრე-
ბი (წყლის დასაწმენდი) 3 მ-დამ და
ვედრები 1 მან-დამ; თეფშები 2 მ-დამ
დუჟინი; შოკოლადის კანფეტები 20
კ-დამ თითო ყუთი და სხვ. **ინგლი-
სურს მაღაზიაში.**

(100—9)

**ჩ ა ი! ჩ ა ი! ჩ ა ი!**

როგორც იქნა ბოლოს მოვიდა ინგ-
ლისის მაღაზიაში დიდ-ძალი ჩაი პირ-
და-პირ პლანტატორებისაგან და ისყი-
დება: 1 მან. 10 კაპ., 1 მან. 20 კაპ.,
1 მ. 40 კ., 1 მ. 60 კ., 1 მ. 80 კ.
და საუკეთესო ჩაი 2 მან. გირვანქა,
უქაღალდოთ, ე. ი. 25% უფრო
იაფი და უკეთესი, ვიდრე სხვაგან
სადმე.

სად არის ინგლისის მაღაზია?—
არწრუნის ქარვასლაში.

(20—4)

**ა ნ გ ა რ ი შ ი**

თიანეთის გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობისა
1879 წლისა

1 იანვარს 1879 წელსა იყო:

| | მან. | კ. | | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| წილადი ფული — — | 3,641 | 40 | გასესხებული— — — | 5,947 | ,, |
| სასარგებლოთ შემოტან. | 2,310 | ,, | ზიანი — — — — — | ,, | ,, |
| ნასესხი: ა) პირვ. დაწყებ. | ,, | ,, | დანაშთენი: | | |
| ბ) შემდ. აღებული | 1,410 | ,, | ნაღდ ფულათ — — — | 1,447 | 32 |
| სათადარიგო თანხა— — | 223 | 63 | სარგებლიან ქაღალდებათ | 165 | 66 |
| წმინდა მოგება— — — | 319 | 95 | საკრედ. განწესებ. შინა | | |
| | | | პირველ მოთხოვნამდე — | 125 | ,, |
| | | | საურთი-ერთო ნდობის | | |
| | | | საზოგადოებაში საწევრო- | | |
| | | | შესატანი — — — — | 220 | ,, |
| | | | ქონების სიაში— — — | ,, | ,, |
| ჯ ა მ ი — | 7,904 | 98 | ჯ ა მ ი — | 7,904 | 98 |

1879 წელს

| შემოსავალი | | | გასავალი | | |
|---|---|---|---|---|---|
| წილადი ფული — — | 107 | 79 | წილადი ფული — — | 730 | 32 |
| სარგებელი დაჭერილი გა- | | | მოგება 1878 წ. წილად- | | |
| სესხების ანუ ახალი ვადის | | | ზე მიცემული — — — | 28 | 50 |
| მიც. დროს — — — | 560 | 49 | გასესხებული — — — | 6,126 | ,, |
| ჯარიმა— — — — — | 68 | 61 | სარგებელი დაბრუნ. ვა- | | |
| დაბრუნებული სესხები— | 6,612 | ,, | დაზე წინ გადახდ. სესხისა | 6 | 20 |
| სასარგებ. შემოტანილი— | 100 | ,, | სასარგებლ. შემოტანილი | 1,370 | ,, |
| ნასესხი: ა) პირვ. დაწყებ. | ,, | ,, | სარგებელი სასარგებლოთ | | |
| ბ) შემდ. აღებული | 4,210 | ,, | შემოტანილი ფულისა — | 12 | 26 |
| სათადარიგო თანხა— — | 32 | 4 | ნასესხი: ა) პირვ. დაწყებითი | ,, | ,, |
| სარგებლიანი ქაღალდები | ,, | ,, | ბ) შემდ. აღებული | 3,410 | ,, |
| სარგებელი სარგებლიანი | | | სარგებელი ნასესხებზე მი- | | |
| ქაღალდებისა — — — | ,, | ,, | ცემული — — — — | 222 | 5 |
| სხვა-და-სხვა შემოსავალი | ,, | ,, | სათადარიგო თანხა — — | ,, | ,, |
| ალებ-მიცემის შემოსავალი | ,, | ,, | სარგებლიანი ქაღალდები | ,, | ,, |
| | | | სარგებელი სარგებლიანის | | |
| | | | ქაღალდებისა — — — | ,, | ,, |
| | | | სამმართველოს ხარჯი — | 118 | 54 |
| | | | სხვა-და-სხვა გასავალი — | 23 | ,, |
| | | | ალებ-მიცემობის გასავალი | ,, | ,, |
| ჯამი — | 11,690 | 93 | ჯამი — | 12,046 | 87 |

1 იანვარს 1880 წელს არის:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| წილადი ფული — — | 3,018 | 87 | გასესხებული— — — | 5,461 | ,, |
| სასარგებ. შემოტანილი | 1,040 | ,, | ზიანი — — — — — | ,, | ,, |
| ნასესხი: ა) პირველ-დაწყებ. | ,, | ,, | დანაშთენი: | | |
| ბ) შემდ. აღებული | 2,210 | ,, | ნაღდ ფულათ — — — | 904 | 79 |
| სათადარიგო თანხა — — | 255 | 67 | სარგებლიან ქაღალდებ. | 165 | 66 |
| წმინდა მოგება— — — | 352 | 91 | საკრედიტო განწესებულე- | | |
| | | | ბათა შინა — — — — | 125 | ,, |
| | | | საურთი-ერთო ნდობის | | |
| | | | საზოგადოებაში საწევრო | | |
| | | | შესატანი — — — | 220 | ,, |
| | | | ქონების სიაში— — — | ,, | ,, |
| ჯამი — | 6,876 | 45 | ჯამი — | 7,876 | 45 |

თავმჯდომარე რჩევისა თ. პ. აფხაზი

წევრნი რჩევისა:
- მღ. სიმონ ბადაძე
- ალექსანდრე სიზოვი
- კონსტანტინე ჯაფარიძე
- ზაქარია ახალკაცოვი
- ზაქარია ბიაშვილი

მწევრ. გამგებლობისა:
- ლენკიზო საყვარელიძე
- სოლომონ ფიცხალაურ
- გიორგი გოჯიევი

Дозволено цензурою. Тифлисъ 10 Іюня 1880 г. Типографія Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი